საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელა

მელა. ჩვეულებრივი მელა

მელა (Vulpes), მტაცებელი ძუძუმწოვრების გვარი ძაღლისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ყველგან, ანტარქტიდის გარდა. ავსტრალიაში ინტროდუცირებულია. გვარში 12 სახეობაა.

საქართველოში გვხვდება ჩვეულებრივი მელა (V. vulpes) 3 ქვესახეობით (V. v. vulpes, V.v. alticola, V.v. alpherakyi).

სამხრეთის მ. ჩრდ. მ-თან შედარებით უფრო მკრთალი და მომცო ტანისაა, გვხვდება სრულიად თეთრი (ალბინოსები) ან შავი ინდივიდები (მელანისტები). განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ველებსა და უდაბნოებში. ბინადრობენ აგრეთვე ტყეში და სხვა ადგილებში. ცხოვრობს სოროში, რ-საც თვითონ თხრის, ზოგჯერ მაჩვის ან სხვა ცხოველის სოროს იკავებს. იყენებს ბუნებრივ თავშესაფრებს — მღვიმეებს, კლდის ნაპრალებს, წაქცეული ხეების ფუღუროებს და სხვ. ხშირად სახლდება ადამიანის მახლობლად, გვხვდება დიდ ქალაქებში. აქტიურია დღისითაც და ღამითაც. მხედველობა შედარებით სუსტი აქვს, სმენა და ყნოსვა — კარგი. გამოირჩევა სიფრთხილით და მოხერხებულობით.

იკვებება როგორც ცხოველური, ასევე მცენარეული საკვებით, ძირითადად თაგვისებრი მღრღნელებით, ასევე ფრინველებით, ქვეწარმავლებითა და მწერებით. წელიწადში ერთხელ მრავლდება. შობს 3-12 ლეკვს. მათ 1,5 თვე რძით კვებავს. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 10-11 თვისა. ტყვეობაში 15-20 წელი ცოცხლობს, ბუნებაში — 3-7 წელი.

მ. რეწვის მნიშვნელოვანი ობიექტია (იყენებენ ბეწვს), ხელოვნურად ამრავლებენ. სარგებლობა მოაქვს მავნე მღრღნელების განადგურებით.

რ. ავალიანი

ა. ბუხნიკაშვილი